# სახალხო გაზეთი

№ 297 შაბათი, 7 მაისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 297

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



კვირას, 8 მაისს, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ელისაბედ დიმიტრის ასულის გედევანიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის ქმარი, შვილები, დები, ძმა, მული და სიძე. პანაშვიდი დაიწყება $11^1/_2$ საათზე და 12-ზე დასრულდება. მატარებელი ტფილისიდან მიდის დილის 8 საათსა და 58 წუთზე, მცხეთიდან ბრუნდება $1^1/_2$ და $2^1/_2$ საათზე. (1—1271—1)

ქეთევან თომას ასული შვილებით და მღვდელი გრიგოლ ილარიონის ძე გელიშვილი ცოლ შვილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 10 მაისს, გადახდილ იქნება პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში ორმოცის წირვა და შემდეგ პანაშვიდი პირველის—ქმრისა, მეორეთა—მამისა, ხოლო მესამეთა—ძმისა, მაზლისა და ბიძისა, უდროოდ გარდაცვალებულის

მღვ. ვლადიმერ ილარიონის ძის გელიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 ს. (1—587—1)

ელისაბედ იაკობის ასული, კონსტანტინე და ტერეზია ფარნაოზის ძე და ასული გრიგოლაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 5 მაისს, უცრად გარდაიცვალა პირველის—საყვარელი მეუღლე, უკანასკნელთა—ძვირფასი ბიძა

პავლე ოტიას ძე გრიგოლაშვილი.

გამოსვენება და დასაფლავება დანიშნულია 8 მაისს, კვირას, დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან (პენსევიჩის ქ.), წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—586—1)

მიხეილ დიმიტრის ძე ნასიძე მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის დედის

ანასტასია სტეფანეს ასულისას.

დაკრძალვა 7 მაისს, სოფელს მაღაროს ფერისცვალების ეკლესიის გალავანში. (1—4—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.
სახალხო სახლთან არსებულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ სამშაბათს, 10 მაისს,

—● ნიკო გოცირიძის საბენეფისოდ ●—

სახალხო სცენაზე 15 წლის მოღვაწეობისა გამო წარმოდგენილი იქნება

## ნამუსისათვის

დრამა 4 მოქ. შირვან-ზადესი.

II. არც აქეთ, არც იქით

ვოდ. 1 მოქ. გ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ნებიერიძე, პიერეტა, ციმაკურიძე; ბ-ნნი: ანაშვილი, ბაქრაძე, ბიაშვილი, გოცირიძე, ხაზანაშვილი, ინაშვილი, მეტრეველი, ბ. მდივანი, ნარი, ჭელიძე, ჭიაურელი, და სხვანი.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 10 ს.-დან 2-მდის და 6-დან 9 ს.-მდე.
ადმინისტრატორი ა. ქიაბერაშვილი. რეჟისორი ნ. გოცირიძე.
დასაწყ. საღ. 8 ს. (5—1151—3)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
კვირას, 8 მაისს, დღით გამართება

## სალიტერატურო დილა

მონაწილეობას მიიღებენ: ახოსპირელი „ჩემი სიმღერა“, გრიშაშვილი „სონეტი“. ქუჩიშვილი „მუშის ამონაკვნესი“. თურდოსპირელი „ტყვე“. ჩირგაძე „მოლოდინი“. შარაშიძე „მწუხარება“. წაკითხულ იქნება ეშმაკის „ქაჯური ენა“ ბაზილინა „გოდება“. რუშაველი „ნაკადული“. ნარკანი „ლაჩარი“. ჯაფარიძე „საკიამუნი“. ირეთელი „საპრემიო ოფლის ღვრა“. შალიკაშვილი „იმერული სცენები“. აპ. წულაძე „გურული სცენები“. ვ. აბაშიძე და ნ. გოცირიძე იმღერებენ „კუპლეტებს“, ვლასოვი დაუკრავს მანდალინაზე.
ბილეთების ფასი 5—50 კ. იყიდება კასაში. (3—1270—2) დასაწყ. 1 ს.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
კვირას, 8 მაისს
სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ქრისტინე

დრამა 4 მოქ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, გარე-გაზელი, ჩირგაძე, კავთელი, ციმაკურიძე, ჩერქეზიშვილი, ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, ბიაშვილი, ვანიაშვილი, მდივანი, მეტრეველი, ნარი, ზონელი, ჭიაურელი, ხაზანაშვილი, შანშიაშვილი, გულაშელი, ჯაფარიძე და სხვანი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 10-ან 2-ის და 6-ან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
ადმინისტრატორი ა. ქიაბერაშვილი. რეჟისორი შ. შარაშიძე.
(2—1268—1)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

## იყიდება შემდეგი წიგნები:

არჩილ ჯორჯაძისა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო“. ფასი 75 კაპ.

Bâton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.

ვ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

## ქართული საზაფხულო თეატრი

სადღესასწაულო წარმოდგენა

კვირას, 8 მაისს, 1911 წ.

საზაფხულო თეატრის და ბაღის გასახსნელად ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ზ. ანტონოვის ცნობილი პიესა:

## მზის დაბნელება საქართველოში

ნამდვილი კომედია 3 მოქმედებად

მიკირტუმას როლს შეასრულებს ვ. აბაშიძე.

მონაწილეობას მიიღ: ქ-ნნი: ვიქტორელი, კარგარეთელი, ჯავახიშვილი, ჩერქეზიშვილი. ბატონნი: აბაშიძე, არადელი, გუნია, გვარამე, ივანიძე, ჟივიძე, მდივანი, მატარაძე, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი და სხვ.

წარმოდგენის დაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი აბაზიდან ორ მანეთამდე. მზადდება წარმოსადგენად: „ქოროღლი“ ახალი სენსაციური პიესა.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა. რეჟისორი ვალ. გუნია. (2—1269—1)

ამ წლის 25 მარტიდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი

## „კოლხიდა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ხელ-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე 5 მან. და 10 შაური. თვიური—ოთხი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქ. 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება 3 მ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზ. „კოლხიდა“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდი, საღამოთი 5-დან 7-მდი.
(10—9) რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

**საბურთალოზე** მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ლიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—42)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერცხლის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**დავთიანი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**თრემბოვეცკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

**ხობთოლევსკი გ. მ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**ხულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედარებით, სთვისურით. (წ.—1089—459)

ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. გაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**შ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. ხობთოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წ.—1090—56)

ქ. ქუთაისში
ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (0—1251—102)

**ექიმი** ქუთაისში, **ს. ი. ვოლოხი**
კათოლიკების ქუჩა N 33.
საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყოს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლის ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ელექტრონისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შეხაზვებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრუვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—54)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
**მიხეილ გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—12)

**ექიმი ე. ვაჩნაძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—51

**ექიმი** ქალისა **ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

**ექიმი** ქალისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ვოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში
იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—63)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)


## ტფილისი, 7 მაისი

**კიდევ საქალაქო არჩევნები.**

ის კამათი, რომელიც გაიმართა ამ ბოლო დროს ქალაქის საბჭოს და ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს შორის, ბევრის მხრითაა საინტერესო. უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა ის პრინციპიალური მოსაზრებანი, რომელთაც გამოსთქვამენ ერთის მხრით საბჭო გამგეობის მეთაურობით და ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულო გუბერნატორის მეთაურობით. დემოკრატიული საბჭო საქალაქო დებულებათა 34 მუხლს ებღაუჭება და აღნიშნავს, ეს მუხლი მხოლოდ იმიტომ არის შეტანილი დებულებაში, რომ გაადვილდეს არჩევნები ტეხნიკის მხრითაო. პრინციპიალურად კი, ქალაქის გამგეობის აზრით, „საქალაქო დებულების მთელი შინაარსი ის არის, რომ საქალაქო საქმეებში მონაწილეობა რაც შეიძლება მეტმა შეძლებულმა კლასებმა, შეძლებული რომელნიც შეკავშირებულნი იქმნებიან საერთო სამეურნეო ინტერესებითაო“. ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ქალაქის თვით-მმართველობა გამგეობას შეძლებულ კლასთა სათარეშო მოედნად მიაჩნია. არა ნაკლებ არის საინტერესო მეორე „პრინციპიალური“ მოსაზრება, რომელიც „დემოკრატიულმა“ საბჭომ და გამგეობამ გამოსთქვა. საბჭო წინააღმდეგია საარჩევნო უბნების გამრავლებისა იმიტომ, რომ იგი შესამჩნევად შესცვლის საბჭოს ინტელიგენტურ ფიზიონომიას. ესეც დამახასიათებელია ქალაქის საბჭოს დემოკრატობისა. მაგრამ არა ნაკლებ საყურადღებოა ის პასუხი, რომელსაც გუბერნატორი აძლევს. „ეს საბუთი,— ამბობს გუბერნატორი,—მოსატანი არ არის, რადგანაც, როდესაც კანონ-მდებელი ქალაქს თვით-მმართველობას ანიჭებდა, დარწმუნებული იყო, რომ ქალაქის ყველა მცხოვრებლები ამ რეფორმისათვის მომზადებულნი არიან... კანონი არა საზღვრავს ინტელიგენტ და არა ინტელიგენტ ამომრჩეველს“. ამრიგად, გუბერნატორი, ფორმალურად მაინც, უფრო დემოკრატიულს ნიადაგზე სდგას, ვიდრე „დემოკრატიული“ ქალაქის საბჭო. უცნაურობაა, მაგრამ ამ უცნაურობის ახსნაც ადვილი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სადავო სულ სხვა რამ არის. ჩვენთვის ყველთვის ცხადი იყო, რომ საბჭოს და გამგეობის დემოკრატიზმი და ინტერნაციონალიზმი მხოლოდ გარეგნული სამოსელი იყო. გამგეობას იმდენად აინტერესებდა დემოკრატიზმი და ინტერნაციონალიზმი, რამდენადაც ეს პრინციპიალური საფუძველი სოლოლაკელ სომეხთა ბატონობას ამტკიცებდა ქალაქის თვით-მმართველობაში. რა წამს მათ წინ საფრთხე აღიმართა, თავისი საკუთარი სახე გამოიჩინეს და ქალაქის თვით-მმართველობაც ისეთს დაწესებულებად დასახეს, რომელმაც „შეძლებული კლასები“ უნდა შეაკავშიროს. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინც ბრძანდებიან ეს შეძლებულნი, ისიც ძალიან კარგად ვიცოდით, რომ საბჭოში მოკალათებულ ჯგუფს მხოლოდ თავისი პირადი სარგებლობა ამოძრავებდა, მაგრამ თუ ასე მალე და ასე აშკარად გამოამჟღავნებდნენ თავიანთ გულის ნადებს, ამას კი არ მოველოდით.

არც გუბერნატორის „დემოკრატობაა“ ნამდვილი სახისა. ამომრჩეველთა ინტერესების დაცვა მხოლოდ საშუალებაა, მიზანი კი სულ სხვა. აი, ეს სხვა და სხვა დაფარული მიზანია, გუბერნატორი რომ „დემოკრატიულ“ ჰანგზე აალაპარაკა და „დემოკრატიული“ საბჭო კი ანტიდემოკრატიულზე.

გადაწყვეტა ამ საკითხისა კავკასიის უმაღლეს მთავრობაზეა დამოკიდებული; ჩვენ კი, ჯერ-ჯერობით შეგვიძლიან მხოლოდ დავიხსომოთ ეს დავა, როგორც საუცხოვო მაგალითი იმისა, თუ რანაირ საშუალებებს მიჰმართავენ ხალხის ჯგუფები, რომელნიც მდგომარეობითა და მომენტით ისე სარგებლობენ, როგორც ეს მათთვის საჭიროა.

ასეთი დაკვირვება ბევრს რამეს საგულისხმიეროს გვასწავლის.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დიდი ხნის მდუმარების შემდეგ ცნობილმა „დაკარგულმა“ („ზატერიანი“) კვლავ გამოაშუქა „ნოვოე ვრემიას“ ფურცლებზე და რა თქმა უნდა თავის „სატრფიალო“ საქართველოს ნათელი მიაშუქა.

მისი შემოქმედება შემდეგის სათაურით დაისტამბა („ნოვოე ვრემია“ № 12619): „ტყვედ წაყვანა“. მოვისმინოთ:

„მცირე ხნით დაწყნარების შემდეგ, რომელიც კავკასიის მახინჯ რეჟიმის ბეც მომხრეთ ქვეყნის დამშვიდებად მიიჩნიეს, რევოლუციონურ-ტერორისტულმა ჯგუფებმა, რომლითაც სავსეა ამიერ კავკასია, თავისი მოქმედება კვლავ განაახლეს: ხოცვა, დახვრეტა, ძარცვა-გლეჯა, ტყვედ წაყვანა. უფრო მეტი „ამხანაგური“ მუყაითობა ტფილ. გუბ. გორის მაზრამ გამოიჩინა, სადაც მშვიდობიან მკვიდრთ აღარ ეცხოვრება. მშვიდობიანი მკვიდრნი აღშფოთებულნი არიან ქართველ ყაჩაღთა მოქმედებით, რომელთაც კავკასიური უმაღლესი მთავრობა დიდი ხანია აქეზებს.

მიხაილოვში, 1905 წ. რევოლუციიდან დაწყებული, რევოლუციონერმა მებრძოლმა—რაზმელებმა დაიდეს ბუნაგი. მიხაილოვის „ამხანაგებს“ დიდი სამოქმედო ასპარეზი აქვთ.

ბრწყინვალე აღდგომის წინა ღამეს არუწოვის სახლში (შეძლებული კაცი) თავიდან ფეხამდე შეიარაღებული ოთხი ყაჩაღი შეიჭრა და განუცხადეს: თქვენი შვილი ვახტანგი, ტფილისის მე-3 გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე, ტყვედ უნდა წავიყვანოთო. ყაჩაღების ბელადი იყო ცნობილი ქართველი ტერორისტი ფეიქრიშვილი, რომელსაც მეტ-სახელად „დიდ-ლადოს“ („ვოლოდიას“) ეძახიან. ამავე ფეიქრიშვილმა შარშან ზაფხულს გაიტაცა სურამში გიმნაზიელი კამაროვი, და თუმცა სხვებთან ერთად შეიპყრეს, მაგრამ „დიდმა ლადომ“ გაქცევა მოახერხა. როგორცა სჩანს, შორს არ გაქცეულა, ახლო-მახლო სოფლებში შეუფარებია თავი, უმეტეს ნაწილად სოფელ ბეკამში, მიხაილოვიდან ვერს ნახევარის მანძილზე. ცხადია ბეკამელთა დაუხმარებლად ფეიქრიშვილი ერთს კვირასაც ვერ გასძლებდა, არამც თუ შვიდ-რვა თვეს.

ტერორისტებმა გიმნაზიელი არუწოვი ტყვედ წაიყვანეს. ფეიქრიშვილმა მამას განუცხადა: თუ გაგვცემ და 15 ათას მანეთს არ მოგვცემ, დატყვევებუ-

ლის მოკვეთილ თავს მიიღებ და შენც მოგკლავთო. რადგანაც არუწოვმა კარგად იცოდა, რომ ქართველი „გამანთავისუფლებელნი“ მუქარის ასრულებას არ დააყოვნებენ ხოლმე, შვილის ტყვეობას სასტიკად ჰფარავდა. ეს კიდევ ცოტაა: როდესაც ვახტანგის გატაცების ამბავი ხალხში გავრცელდა, მამამ-არუწოვმა ტფილისის ერთ მემარცხენე რუსულ გაზეთში, რომელსაც ქართველი შოვინისტები რუსულად ჰბეჭდავენ, წერილი დაბეჭდა, სადაც უარსა ჰყოფდა შვილის ტყვეობას.

მაგრამ მიხაილოვი მივარდნილი ადგილი არ არის და არუწოვის ისტორია მალე ქვეყანას მოეფინა.

ადმინისტრაცია ჩვეულებრივ გამოძიებას შეუდგა, თუმც, ცხადია, ერთი კვირის შემდეგ ამ ამბის მოხდენისა. სანამ ტფილისში ფიქრობდნენ, გამტაცებელთ არუწოვთან მოლაპარაკება ჰქონდათ და 15 ათას მანეთის მაგიერ 6 ათას მანეთს სჯერდებოდნენ.

ცხადია, რომ ტყვეც და დამტყვევებელნიც სადმე ახლო-მახლო იმყოფებოდნენ, მაგრამ მცხოვრებნი ზოგი სიბრალულითა და ზოგიც შიშის გამო ჰფარავდნენ იმას, რაც ჩინებულად იცოდნენ.

ესეც თქვენი კავკასიის დამშვიდება, ესეც თქვენი „უმაღლეს კულტუროსანი“ განაპირა მხარე, რომელიც საქვეყნოდ გაჰკივის, რომ მას „ბოროტი ხალხი“ ველურად და ყაჩაღად იხსენიებს!!“

გასაოცარი ის კი არ არის, რომ ყოველნაირ ქურდობას „ზატერიანი“ რევოლუციონურ მოძრაობად ნათლავს,—ამას უკვე შევეჩვიეთ,— გასაოცარი ის არის, რომ ქურდბაცაცების ისტორია ზედ-მიწევნით სცოდნია „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტს. ამისთვისაც განსაკუთრებული ნიჭია საჭირო.

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **დიდი სეირნობა.** 14 მაისს ქართულ დრამატიულ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა. მოწვეულია სამხედრო მუსიკა, საზანდარი და ზურნა.

✦ **დასურათებული „ვეფხის ტყაოსანი“.** წერეთლებმა შესწირეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დასურათებული „ვეფხის ტყაოსანი“. სულ 77 სურათია.

✦ **შუამდგომლობა.** სიღნაღის მაზრის სოფ. შრომის მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წინაშე, ხსენებულ სოფელში სკოლის გახსნის შესახებ.

✦ **ქუჩების მორწყვა.** ქალაქის გამგეობამ დამატებით გადასდო 3.000 მან. ზაფხულში ტფილისის ქუჩებისა და მოედნების მოსარწყავად. ამ დადგენილებას ქალაქის საბჭო მოკლე ხანში განიხილავს.

✦ **სამხედრო ბეგარა.** ქალაქის სამხედრო საკრებულო უკვე შეუდგა იმ პირთა სიის შემოწმებას, რომელნიც მომავალ შემოდგომაზე არიან გაწვეულნი სამხედრო ბეგარის მოსახდენად.

**ლატარია.** ნამესტნიკმა ნება დართო უფასო და იაფ-ფასიან სასადილოების საზოგადოების კომიტეტს, რომ ლატარია გამართოს ამ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად.

✦ **ნებადართული პიესა.** ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიის სცენებზე ქართულად წარმოადგინონ ვ. ბურენინის 5 მოქმ. დრამა „თავისუფლების მეფე“, თარგმანი ალ. იმედაშვილისა.

✦ **საარჩევნო უბნებად დაყოფა ტფილისისა.** 5 მაისს კერძო თათბირი ჰქონდათ ქალაქის საბჭოს ხმოსნებს. თათბირს 16 ხმოსანი დაესწრო. განსახილველი იყო საკითხი ქალაქის საარჩევნო უბნებად დაყოფის შესახებ. ხმოსნებმა თითქმის ერთხმად დაადგინეს, არ შესცვალონ წინანდელი თავისი დადგენილება სამ საარჩევნო უბნად დაყოფის შესახებ.

ამავ დღეს, საღამოს, სენატორ ვატაცის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა საგანგებო თათბირს, რომელმაც საჭიროდ სცნო, ქალაქი 7 საარჩევნო უბნად დაიყოს. სენატორი ვატაცი ამ გარდაწყვეტილებას ნამესტნიკს წარუდგენს განსახილველად.

✦ **სახალხო სახლი.** 10 მაისს ნ. გოცირიძის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნება „ნამუსისათვის“ დრამა 4 მოქმ. შირვან-ზადესი და „არც აქედ, არც იქით“, ვოდ. ვ. გუნიასი.

✦ სამი კვირის წინედ დატუსაღებული „ლისტოკ-კოპეიკას“ **რედაქტორი შავლაძე** ხუთშაბათს, 5 მაისს, გაანთავისუფლეს, რადგან სასჯელი შეუმსუბუქეს.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** როგორც ქალაქის გამგეობის მიერ ა. ი. ხატისოვისაგან მიღებულ დეპეშებიდან სჩანს, საუწყებათაშორისო თათბირს საჭიროდ უცვნია, ტფილისში გაიხსნას მედიკური ფაკულტეტი ფიზიკურ-მატემატიკურ განყოფილებით. უნივერსიტეტი უნდა მოეწყოს ადგილობრივ შეკრებილ ფულით. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენი ვალდიდოს ხაზინიდან უნივერსიტეტის შესანახად, განხილულ იქმნება შემდეგ.

✦ **„მზის დაბნელება“.** 8 მაისს, ქართულ თეატრში ქართველ მსახიობთა მიერ დაკლებულ ფასით წარმოდგენა გაიმართება. წარმოდგენილ იქმნება ზ. ანტონოვის პიესა: „მზის დაბნელება“.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ დაადგინა, საზოგადოების სკოლების დასათვალიერებლად რევიზორი გაჰგზავნოს. ამიტომ გუშინ გამგეობამ სკოლის გამგეებს წერილებით აცნობა ეს გადაწყვეტილება და წინადადება მისცა, მოსწავლენი მაისის გასულამდე არ დაითხოვონ.

✦ **იუბილეის გადახდა.** 1 მაისს, პეტერბურგში მოწყალების დათა საზოგადოებას გადაუხდია ამ საზოგადოების საპატიო წევრის თავადის **ი. ა. ნაკაშიძის 35 წლის** მოღვაწეობის იუბილეი; თავადი ნაკაშიძე რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრია.

✦ **გაფიცვა.** რადგანაც სომხურ გაზეთის „სურანდაკის“ ასოთ ამწყობნი გაიფიცნენ. გუშინ ეს გაზეთი არ გამოსულა.

# მომავალი არჩევნები

ქალაქის გამგეობაში გამოკრულია ტფილისის საბჭოს წევრთა მომავალ არჩევნებში მონაწილე ამრჩეველთა სია.

## ქონებრივის ცენზით

(პირველი რიცხვი აღნიშნავს იმ ამრჩეველთა რაოდენობას, რომელთაც ქონებრივის ცენზით უფლება ეძლევათ არჩევნებში მონაწილეობისა თუ „ნედოიმკებს“ გადაიხდიან. მეორე კი—იმ ამრჩეველთა რაოდენობას, რომელთაც დარჩენილი გადასახადები უკვე შეუტანიათ და მომავალ არჩევნებში **მონაწილეობას მიიღებენ**).

| უბნები. | რუსი. | ქართველი. | სომეხი. | მუსულმ. | სხვა ერთვ. | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 331—240 | 224—113 | 221—131 | 8— 2 | 38— 17 | 825 |
| 2 | 70— 42 | 113— 59 | 96— 66 | — — | 4— 3 | 286 |
| 3 | 34— 22 | 43— 18 | 128— 60 | 1— 1 | 8— 1 | 214 |
| 4 | 31— 14 | 40— 17 | 185—129 | 1— 1 | 10— 6 | 267 |
| 5 | 26— 4 | 63— 32 | 560—276 | 22— 3 | 25— 9 | 696 |
| 6 | 15— 2 | 29— 15 | 149— 87 | 84—30 | 4— 3 | 281 |
| 7 | 83— 43 | 74— 30 | 492—217 | 7— 2 | 16— 4 | 672 |
| 8 | 93— 45 | 53— 22 | 194— 82 | 6— 1 | 5— 3 | 281 |
| 9 | 78— 72 | 159— 56 | 360—183 | 6— 1 | 72— 27 | 675 |
| 10 | 381—236 | 222—108 | 258—136 | 5— 4 | 191—103 | 1057 |
| სულ. | 114[illegible]—720 | 1023—470 | 2573—1367 | 140—45 | 373—176 | 5254 |

## სავაჭრო-სამრეწველო ცენზით

| | რუსი. | ქართველი. | სომეხი | მუსულმ. | სხვ. ერთვ. | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | — | 12 | 8 | — | 2 | 22 |
| 2 | 5 | 8 | 45 | — | 13 | 71 |
| 3 | 7 | 18 | 92 | — | 13 | 130 |
| 4 | 1 | 17 | 97 | 5 | 2 | 122 |
| 5 | 1 | 8 | 62 | 31 | — | 102 |
| 6 | — | — | 6 | — | 1 | 7 |
| 7 | — | 1 | 4 | — | — | 5 |
| 8 | 3 | 10 | 48 | 6 | 4 | 71 |
| 9 | 8 | 9 | 38 | — | 9 | 64 |
| 10 | 10 | 19 | 34 | — | 9 | 72 |
| ს უ ლ. | 35 | 102 | 434 | 42 | 53 | 666 |

✦ სემირეჩინის ოლქში დაზარალებულთა სასარგებლოდ კავკასიაში დღევანდლამდე შეგროვილა: 73907 მანეთი 40 კ. ფულად, ხუთი 4% სახელმწიფო რენტის ბილეთი—თითო 100 მანეთად ღირებული და ერთი ოქროს ბეჭედი.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის** მორიგი კრება 5 მაისს მოჰხდა. გამგეობამ დაადგინა, 100 მან. გადასდოს გიორგიწმინდის სკოლის ახალ შენობის ასაგებად.

✦ ტფილისის „კრუჟოკი“ ზამთრის სადგომიდან 14 მაისს საზაფხულო სადგომში (კიროჩნი ქუჩა) გადავა.

✦ **საზოგადო კლუბში** დღეს დოქტორი ა. იოანისიანცი წაიკითხავს რეფერატს შირვან-ზადეს ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ.

### სასამართლო

✦ გუშინ პალატამ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ლ. ყიფიანს ცილის-წამებისათვის რამდენიმე კვირით კიხე მიესაჯა.

### სასწავლებლებში

✦ **ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში** პირველ კლასში მისაღები საკონკურსო გამოცდები დანიშნული იყო 21-სა 23 მაისისათვის, მაგრამ, რადგანაც შვიდი მოწაფე ხუნაგით ავად გახდა, პედაგოგიურმა საბჭომ საჩქაროდ დაითხოვა დაბალი კლასების მოსწავლენი. გამოცდები კი დღეს შაბათს დაიწყება. დანარჩენ კლასებში მისაღები გამოცდები არ მოხდება,

✦ კვირას, 8 მაისს, ტფ. ქართულ გიმნაზიის დარბაზში მოწაფეთა საკონცერტო-სალიტერატურო დილა გაიმართება.

✦ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში 7, 8 და 9 მაისს საქველ-მოქმედო საზოგადოების თავშესაფარისა და სკოლის მოწაფეთა ხელსაქნარის გამოფენა გაიმართება. შესვლა ყველასათვის უფასო იქმნება.

✦ დღეს, 7 მაისს, არტისტიულ საზოგადოების საზაფხულო სადგომში გაიმართება სეირნობა „ლუის“-ის საზოგადოების სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

### სომხების ცხოვრებიდან

✦ კვირას, 8 მაისს, ნაშუადღევის 12 ნახ. საათზე ვანქის ტაძარში ეპისკოპოსის ეფრემის მეთაურობით, ვანქის სამღვდელოების კრებულის მიერ გადახდილ იქმნება პანაშვიდი ოსმალეთის ქალაქ მარზვანში გარდაცვალ. ებულ, ნიჭიერ ვიოლონჩელისტის **დავით გრიგორის ძის დავითიანის** სულის მოსახსენებლად.

✦ რადგანაც **მწერალ შირვანზადეს იუბილეი** 22 მაისისათვის გადაიდო, სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა, ამ საზოგადოების 30 წლის მოღვაწეობის იუბილეი სექტემბრის ბოლო რიცხვებში გადაიხადოს.

✦ ცნობილი აგრონომი ა. ქალანთარი 5 მაისს ჯევანშირის მაზრას გაემგზავრა, რათა თალისში დაათვალიეროს ის ადგილები, რომელიც მომავალ სასოფლო-სამეურნეო სკოლას ძმ. ჟამგაროვებმა შესწირეს.

✦ ბორჩალოს მაზრის ადგილ ლორიდან ატყობინებენ გაზ. „მშაკს“, რომ ადგილობრივი გლეხები ძლიერ

# ცოტა რამ ძველი და ახალი დიდუბის ეკლესიაზე

დიდუბის ღვთის მშობლის სახელობაზე არსებულ ეკლესიის ისტორიის დასაწყისი იკარგება ქართველთ საქრისტიანო მატიანეს უფსკრულში. ჩვენ არ ვიცით რომელ საუკუნეში და რომელ მეფის დროს იყო ის აგებული. ვიცით მხოლოდ, რომ დიდუბე წმინდა დედოფლის თამარის დროს წარმოადგენდა ტფილისის მიდამო დაბა-ქალაქს, სადაც იყო „საყდარი“. აქ ქართველ მეფეებს ჰქონდათ ჯარისათვის მოწყობილი საალლუმო-სავარჯიშო მოედანი; აქ ისინი სწვრთნიდნენ ომში წასასვლელად მოწვეულ „ლაშქარს“, ამხნევებდნენ და დიდუბის „საყდარში“ ულოცავდნენ მას გამარჯვების გზას. დიდუბის „საყდარში“ იკურთხა წმ. დედოფალმა თამარმა საქართველოს სამეფო ტახტის გვირგვინი. თავს დაიდგა მან ეს გვირგვინი გმირ მამისაგან (გიორგი მესამე) ჩაბარებულ იმ დროინდელ მძლე და ვრცელი საქართველოს ყოველი კუთხიდან მოწვეულ ლაშქრის თანადასწრებით,—დიდის ზარ-ზეიმით, რომელიც ასე საუცხოვოდ არის აწერილი შოთას „ვეფხის-ტყაოსანში“, რომელსაც იმღერს და საშვილიშვილოდ იხსენიებს ხალხური ზეპირგადმოცემა,—ეს ერთი ჭეშმარიტ და დაუშრეტელ წყაროთაგანი ჩვენი ქვეყნის ჯერ კიდევ შეუსწავლელ ისტორიისა:

„თამარის დროშა გაშალეს
შეკრბა დიდუბის ლაშქარი...

დიდუბის „საყდარში“ იქორწილა თამარმა, როდესაც რის ვაი-ვაგლახით მოიშორა თავიდან უცხოეთიდან „მოყვანილი“ პირველი ქმარი, ლოთი გიორგი. ამ უკანასკნელის გაძევების შემდეგ—

„დიდუბეში იქორწილა, სადაც
რომ საყდარი არი,
დავით სოსლანის მეუღლე,
რომელს უშვენა მან მხარი!“

ასეთი პატივდება „დიდუბისა“ და იმის „საყდრისა“, ჯერ კიდევ იმ თავიდანვე სრულებით არ ყოფილა არც შემთხვევითი და არც ადგილმდგომარეობის სტრატეგიულ მნიშვნელობით გამოწვეული. ეს იყო გამოწვეული მხოლოდ და მხოლოდ იმ სასოებით და ღრმა სარწმუნოებრივ მოკრძალებით, რომლითაც ჩვენი ერი და მისი მეფეები ეპყრობოდნენ დიდუბის „საყდარს“.

აქ „ჰყავდა“ მათ „საწაულთმომქმედად“ მიჩნეული „დიდუბის ღვთის მშობლის ცხოველი ხატი“, რომელსაც ჩვენამდინაც მოუღწევია, რომელიც ასვენია დიდუბის განახლებულ ტაძარში. ეს ხატი, ვინც მას კარგად დაჰკვირვებია, არის საუცხოო, შეუდარებელი მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს უცხოელებიც-კი. ჩვენი ისტორიის მოწამებრივ მსვლელობაში „დიდუბე“ და იმისი „საყდარი“, ტფილისთან ერთად, განიცდიდნენ საერთო ბედს და ხვედრს. ეს ადგილიც, ტფილისთან ერთად, ჩვენი ქვეყნის მრავალ მტერთაგან არა ერთხელ ყოფილა ოხრებულ-გადაბუგული. მაგრამ, გადაივლიდა თუ არა მრისხანე გრიგალი, წამოდგებოდნენ დიდებულებიც ფეხზე; ისევ სიყვარულით და სასოებით მოიყვანდნენ ხოლმე ისინი მთელი ქვეყნის „სიწმინდეს“, შორს სადმე გადახიზნულს და გადამალულს.

ხშირად დაუნგრევიათ მტრებს დიდუბის ტაძარიც, ხშირად გაუძარცვავთ ძვირფას თვალ-მარგალიტებით შემკული ღვთის-მშობლის ხატიც. უკანასკნელად ეკვეთა მას საჭურისი აღა მახმად-ხანი, მაგრამ სრულებით მისი მოსპობა ვერ შესძლეს,—დიდუბე თავის „საყდრით“, საარაკო ფრინველ ფენიქსივით, ისევ ახლდებოდა, ისევ წამოცოცხლდებოდა ხოლმე...

ასეთ ქვპანწყვეტით მოაღწიეს დიდუბელებმა მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე, როდესაც დაქანცული საკაცობრიო და საქრისტიანო მსოფლიო ასპარეზზე დიდად ნაჭირნახულევი და ნაამაგევი ქართველი ხალხი, რუსეთს შეუერთდა...

„კოლონიზაციის მიზნით“, არ ვიცით კი ნებსით თუ უნებლიეთ, 1827 წელს დაბა-ქალაქი დიდუბე თითქმის ძირ-ბუდიანად აჰყარეს და გადაასახლეს ეგრედ წოდებულ „ჩუღურეთში“. აქ დღეს კუკიის წმ. ნიკოლოზის მრევლი სცხოვრობს, ყოფილი დიდუბელები, რომელთაც ეხლა „კუკიელები“ ეწოდებათ...

დიდუბის არე-მარე სულ საეკლესიო გლეხებით იყო დასახლებული და მთელი აქაური მიწა-ადგილიც საეკლესიო იყო. „თებერვლის 25-ს 1827 წელს, მთავრობის განკარგულებით „გრუზინსკი გუბერნსკი ზემლემერმა ნადვორნი სოვეტნიკ არნაუტოვმა“ მიუზომა თავისუფალი მამული დიდუბეში (участокъ пусто-порожной земли въ Дидубахъ) თავადთ ამატუნებს ნაცვლად მიწისა, რომელიც გამოერთვა მათ, ჩუღურეთში კუკიელ სახელმწიფო გლეხებისთვის დასარიგებლად“. ესე ცნობა ჩვენ შემთხვევით და გაკვრით ამოვიკითხეთ ამატუნიანთსეულ მამულების სიგელში. ამ მამულების „ჩრდილო ნაწილში“ აღნიშნულია „დიდუბის ეკლესიაც“, როგორც „ნანგრევი“.

მაგრამ ამ „ნანგრევ“ ეკლესიის „ჩუღურეთში“ გადასახლებული მრევლი, თავიანთ მღვდელ-დიაკვნით, მაინც ვერ სწყვეტდა სარწმუნოებრივ კავშირს თვისს ძველ მამა-პაპეულ „სიწმინდესთან“; მართალია ეს „სასაფლაო“ ამატუნიანთ მამულში მოჰყოლოდა, მაგრამ მაინც „იოლად“ მიდიოდნენ და ყოველ „ორშაბათობით“, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კრებულის თანხლებით, მოდიოდნენ ხოლმე დიდუბეში, „ნანგრევ“(?) ეკლესიაში, წირვას მოისმენდნენ, მოილოცავდნენ და ისევ გაბრუნდებოდნენ.

კუკიელებთან ერთად ორშაბათობით განაგრძობდნენ დიდუბეში სალოცავად მსვლელობას მთელი ქალაქი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებრივ აღსარებისა. დიდუბეში კი დარჩენილიყო ათიოდ მოსახლე გლეხი; სხვა ეს არე-მარე, დღეს გამშვენებულ-გაბრწყინვებული რკინის გზის სადგურის სიახლოვისა გამო,—მაშინ უკვე გავერანებულ უდაბნოდ ქცეულიყო. შემდეგ ამ „უდაბნოს“ დიდი ნაწილი მთავრობამ გერმანელ-კოლონისტებს აჩუქა, რომელთაც ჩვენში „კულტურა“ უნდა შემოეტანათ...

დიდუბის ტაძარს ამ სახით რკალივით გარს შემოერტყა მამულები, რომელიც მას ჩამოაცალეს. თვით ტაძარი ამ პირობებში ისე დაკნინდა, რომ გამოსდგამდით თუ არა ტაძრიდან ფეხს, ამატუნიანთ მამულში ჩასდგამდით. ამ უკანასკნელთ შეეძლოთ არც შეეშვათ და არც გამოეშვათ მლოცველები. რასაკვირველია, ამ ზომამდე საქმე არასოდეს არ მისულა, ვინაიდან ქართველებთან ერთად, დიდის პატივით და სასოებით ეპყრობოდა და დღესაც ეპყრობა დიდუბის ეკლესიას სომხობაც.

დიდუბის ეკლესიის ასეთ უნუგეშო მდგომარეობას სამოც-და-ათიან წლებიდან მიაქცია ყურადღება წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარმა განსვენებულმა დეკ. პეტრე იმნაძემ, რომელიც 1872 წლიდან ოფიციალურად (ფაქტიურად კი უფრო ადრე) უკვე შეუდგა დიდუბის ეკლესიის განახლებას. ამ მიზნით მან თანაშემწედ მოიწვია განსვენებული დეკ. ბესარიონ ზედგინიძე, ორბელიანთ კარის და ანჩისხატის ეკლესიათა წინამძღვარი, და ცნობილი ქველ-მოქმედი აწ განსვენებული გიორგი ქართველიშვილი.

ამ სამ პირთა მაცადინეობით თანდათან გროვდებოდა ქართველთა შორის საჭირო თანხა; რაც ვერ მოგროვდა, ის შეავსო თვით განსვენებულმა გიორგი ქართველიშვილმა; ამას გარდა, მანვე საკუთარი სთფასით უყიდა ეკლესიას ხუთი ზარი და სხვა საჭირო სამკაულები; თვითვე იყო ეკლესიის „მნათედ“, არა სახელად მხოლოდ, არამედ საქმითაც. განსვენებულს ძლიერ დიდი ამაგი მიუძღვის ამ ეკლესიაზე; თვითვე მეუღლით აქ არის დასაფლავებული.

1884 წელს დასრულდა აწინდელი დიდუბის ეკლესიის აშენება, ცოტა რამ ცვლილებით უწინდელი სტილისა,—ეკლესიას დაადგეს გუმბათი. სექტემბრის 23-ს 1884 წელს აკურთხეს „განახლებული დიდუბის ტაძარი“. ის ამის შემდეგ მიაწერეს ორბელიანთ კარის ეკლესიას და გადავიდა მამა ზედგინიძის ხელში. ეს უკანასკნელიც, აგრეთვე დეკ. პეტრე იმნაძეც, როგორც დიდი ნაამაგარნი ამ ეკლესიაზე, აქვე არიან დასაფლავებულნი.

მამა ზედგინიძის და გიორგი ქართველიშვილის მაცადინეობით და მზრუნველობით შეძენილ იქმნა დიდუბის ეკლესიის აწინდელი ვრცელი ეზო ზოგი ფასით და ზოგიც ჩუქებით (500 ოთხ-კუთხ. საჟენზე მეტის), დიდად პატივცემულ ქალბატონ ნინო რაფიელისასულ დოლუხანოვისაგან (კნიაგინა ამატუნი), ზოგიც ბ. ნიკო ლორთქიფანიძისაგან.

თანდათან დიდუბის მიდამო მუდმივ მცხოვრებელთაგანაც კვლავ იღვიძებდა; რკინის გზის სადგურის სიახლოვემ მალე მოიზიდა დიდუბეში ჩვენი მშრომელი ხალხიც. ქალაქის შუა გულმაც მალე გამორიყა აქეთ, განაპირას,—ულარიბესნი მოქალაქენი, რომელნიც უფრო ხელმისაწვდომ ფასებში ჰქირაობენ ხოლმე აქ ბინას. გაჩაღდა წვრილი ვაჭრობა; დაბინავდნენ დიდუბეში ტრამვაიზე მომუშავენი, რომელნიც, სანამ ცხენებით ამუშავებდნენ ტრამვაის, თითქმის სულ ქართველთაგან შესდგებოდნენ. დაუბრუნდნენ დიდუბეს ბევრნი „კუკიელებიც“, ესე იგი ძველი მრევლთაგანნი და მათნი შთამომავლობა.

1886—1887 წლებში სადგურ „მიხაილოვოდან“ გადმოიტანეს ტფილისში ამიერ-კავკასიის უმთავრესი დეპო და სახელოსნოები: ამათ მოჰყვა დიდ-ძალ მუშა-ხალხის დაბინავება დიდუბის რაიონში.

ამ რაიონში კი იმ დროს იყო ერთად-ერთი მზა-მზარეული დიდუბის ეკლესია და შიგ გაჩაღებული ქართული წირვა-ლოცვა და მღვდელმოქმედება. მამა ზედგინიძე ველარ ასდიოდა საქმეს და სასულიერო მთავრობამ მას თანაშემწედ დაუნიშნა მღვდელი ირ. გურგენიძე და მთავარი გრ. კონტრიძე, ესენი ეხლაც განაგრძობენ აქ სამსახურს...

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროიდან დიდუბის ეკლესიაში გარდა ქართველებისა დადიოდნენ რუსებიც, წირვა-ლოცვა სწარმოებდა მხოლოდ ქართულად. ეკლესიაში არეულ-დარეულ წირვა-ლოცვის შემოღებას, შენიშნულია, სულ-ყოველთვის ის შედეგი მოსდევს, რო-

გაქირავებას განიცდიან, რადგან საქონლისათვის საკვები უკვე კარგა ხანია გამოელიათ და ახალი ბალახი კი სიცივეებისა გამო ჯერ არ ამოსულა.

✦ სომეხ-გრიგორიანთა სინოდის განკარგულებით ეჩმიაძინის საეკლესიო მამულებისა და ქონების ინვენტარის შედგენას შეუდგნენ.

✦ სომეხთა კათალიკოსის მოადგილეს განკარგულება გაუგზავნია ტფილისის კონსისტორიისათვის, რათა თვალ-ყურიადევნოს, რომ მღვდლებმა ბევრი გაკვეთილები არ აიღონ სასწავლებლებში, და ამით თავიანთ პირდაპირ მოვალეობას არ მოსცდნენ.

## კავკასიის რკინის გზაზე

✦ **მუშების უფასო წაყვანა.** საფინანსო სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ 1911 წლის 31 ქრისტეშობისთვემდის ის მუშები, რომელიც დაიქირავა სახელმწიფო დაწესებულებებმა და კერძო მოიჯარადრეებმა, ამურის რკინის გზის ასაშენებლად სახაზინო გზებზე უფასოდ წაიყვანონ, კერძო გზებზე კი მე 4 კლასის ფასი გადაახდევინონ.

## ქუთაისი

✦ **ჟურნალი.** პოეტი ვ. რუხაძე ყოველ-კვირეულ სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალის გამოცემას აპირობს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ 2 მაისის მორიგ სხდომაზე დაადგინა, პატივი სცეს მწერალ ქალს ეკატერინე გაბაშვილს და 14 მაისს ქალაქის თეატრში გამართოს მისი სახელის საიუბილეო დილა ასეთ პროგრამით: ა) ბიოგრაფია; ბ) მწერალ ქალის თხზულებათაგან ნაწყვეტების წაკითხვა; გ) იუბილიარისადმი მიმართული ლექსთა კითხვა; დ) მუსიკა, გალობა და სხ.

## პროვინცია

✦ **გორი.** 15 მაისს, დილის 11 საათზე, საზოგადო კლუბის დარბაზში ხილის ბაღების პატრონთა საერთო კრება მოჰხდება. მიზანი კრებისა: დაარსება მეხილეთა კოოპერატიულ ამხანაგობისა. კრება მთავრობის მიერ ნებადართულია და სასურველია, მას რაც შეიძლება ბევრი ბაღის პატრონი დაესწროს.

## მოწერილი ამბები

**ს. გურჯაანი.** სულ ერთი წელიწადია მას შემდგომ, რაც ს. გურჯაანში თავი მოიყარა ინტელიგენტთა მატარა, მაგრამ მჭიდროდ შეკავშირებულმა ჯგუფმა. ამ ჯგუფმა თავის მოქმედების უმთავრეს მიზნად დაისახა სოფლისათვის უსაჭიროესი პრაქტიკული ხასიათის საქმიანობა. სხვათა შორის უპირველესი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სოფელს, სადაც 1000 კომლზე მეტი მცხოვრებია, დღინის გარდა, თავისუფალ დროს რამე გონივრული გასართობი არაფერი აბადია. კადასწყვიტეს ამ მიზნით სამკითხველოს დაარსება. ასეთი განზრახვა სხვა დროსაც ყოფილა და ამ მიზნით ფულიც ყოფილა შეკრებილი, 120 მ., რომელიც ერთ-ერთ აქაურ თავადაშვილის ხელში ჩავარდნილა, და თუმცა ამის დასამტკიცებელი საბუთები მოიპოვება, ღმერთსაც ეს ფული სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოუხმარებია დანიშნულებას. ამიტომ გლეხებს, არამცთუ მასა, არამედ თვით შეგნებული ნაწილიც კი მეტად უნდობლად შეხვდა ინტელიგენტთა ჯგუფის გადაწყვეტილებას, მაგრამ მოთავენი ამან არ შეაშინა და გადასწყვიტა უოველივე ღონისძიება ეხმარა, რომ თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა. ამ მიზნით, საქმის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად გადასწყვიტეს უპირველეს ყოვლისა აეგოთ სოფლის შეკუდ ადგას სამკითხველოსათვის საჭირო შენობა, საშირო საშუალების—სახსრის საშოვნად კი სადამოების მართვა და ხელზე შეკრება ფულისა მხოლოდ შეგნებულთა და მსურველთა შორის. მართლაც, საქმის დამწყებნი არ მოსტყუვდნენ და მათმა ენერგიულმა და თავგამოდებულმა გადაწყვეტილებამ თვისი ნაყოფი მოიტანა; გამართა რამდენიმე სადამო; პირველმა სადამომ წმინდა შემოსავალი 30 თუმნამდის მისცა. ეს იყო მარშან, 17 ივლისს, და ამ ფულის ხელში ჩაგდების უმალ მოხერხებულ სასოფლო ადგას შენობის აგებას შეუდგნენ. შენობა განზრახულია არა მარტო წიგნების შესანახად, არამედ უმთავრესად საკვირაო სკოლის საჭიროებისათვის; ამიტომ საკმაოდ ფართოა—15 არშინი სიგრძე და 8 სიგანე. რასაკვირველია, 30 თუმანი ამგვარ შენობისთვის საკმარისი არ იყო და საქმის ინიციატორნი არავითარ შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ სხვადა სხვა გზით, რაცა კი პატარა საზოგადოება მოიყრიდა თავს, ფული არ შეეკრიბა: არითვანების გამართვით, ქადაგის თამაშობის დროს განსაზღვრულ პროცენტების სამკითხველოსთვის გადადებით, საწევრო ფულის შეკრებით და სხვათა შორის ქართულის ლაპარაკის დროს არა ქართულ სიტყვების გარევის გამო დაჯარიმებით და სხვა. ერთი სიტყვით, სადაც კი მოხვდებოდა რომელიმე წევრი ამ პატარა ჯგუფისა, მუდამ ბიბლიოთეკა ახსოვდა და მასზე ზრუნავდა; ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და პირველი და ამასთანავე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საფუძვლად უნდა ჩაითვალოს ჯგუფის მიერ განზრახულ კულტურულ საქმიანობისა, შეგვ გადადგმულია. სამკითხველოს შენობა დასრულდა და 1 მაისს მოხდა მისი კურთხევა.

კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო, უმთავრესად გლეხობა, რომელიც დასაწყისში, როგორც აღვნიშნე, ურწმუნოდ უცქეროდა ამ შენობის აგების განზრახვას, მაგრამ შემდეგში-კი, დაიწყო თუ არა შენობის საძირკვლის ამოყვანა, თანდათან მათ შორის გამოჩნდნენ თანამგრძნობნი და რითაც შეეძლოთ დახმარებას უწევდნენ, სხვათა შორის, პირადის შრომით. კურთხევა მოხდა ადგილობრივ 3 მღვდლის თანადასწრებით, რის შემდეგომაც მომენტის შესაფერი სიტყვით მიმართეს ხალხს მღ. ითსებ ახალშენიშვილმა და ექ. დ. ჯავახიშვილმა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე გლეხობაზე უკანასკნელის სიტყვებმა შესახებ საკვირაო სკოლის გახსნისა. კურთხევის შემდეგ წაიკითხეს მოკლე ანგარიში შენობისათვის საჭირო ფულის შემოსავალ-გასავლისა, საიდანაც აღმოჩნდა, რომ შენობაზე დახარჯულა 720 მან. და შემოსავალი კი ყოფილა 718 მან. მხოლოდ. ხალხმა უდიდესი ეს დიდის მადლობით მოისმინა. ხაზინადარის ბ. ნ. იაშვილის წინადადებაზე, რომ მსურველთ შემოეწირათ ჯერჯერობით ჟურნალ-გაზეთებისათვის გამოსაწერად საჭირო ფული, დამსწრე გლეხობის უმრავლესობამ უსიტყვოდ დახსნა თავისი ქისები ინტელიგენციასთან ერთად, და მალე თითო აბაზობით მანეთამდის 15 მანეთამდის შემოწირულება შეგროვდა. ეს ფაქტი უნდა ჩაითვალოს გლეხების მიერ პატარა ინტელიგენტთა ჯგუფის მოღვაწეობისადმი ნდობის გამოხატულებად. რაკი ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგმულ იქმნა და, რაც უფრო ყურადღების ღირსია, გურჯაანის ინტელიგენტთა ჯგუფმა ამ ნაბიჯით ხალხში ნდობა მოიხვეჭა, უნდა შემდეგისთვის იმედი ვიქონიოთ, რომ ხსენებული ჯგუფი უფრო მეტის ენერგიით და ხალისით შეუდგება მის მიერ დასახულ კულტურულ მუშაობას და არ შეუშინდება ზოგიერთ აქაურ მოგაშურე-ხარბების და უსაქმობას ჩვეულ დაწყო-დაბადებიდან გაქბატონების მიერ, ამ ინტელიგენციის წინააღმდეგ, დაბრკოლებების შექმნისა, რომელთაც ბუნებრივად ეშინიათ უოველივე ხალხში შეტანილ სინათლისა.

უპირველეს ყოვლისა ამ ჟამად აქაურ კულტუროსანთ უნდა ყურადღება მიაქციონ და უოველივე ღონე იღონონ საკვირაო სასწავლებლების დასაარსებლად; ნებართვა ამისა შეუძლიან მიიღოს რომელიმე აქაურმა მღვდელმა, მაგ, მღ. ბ. ციბაძიშვილმა, რომელიც საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლება. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთების გამოწერას და წიგნების შეძენას, ამას ძალიან არ უნდა გამოუდგნენ და შეიძინონ იგი მოთხოვნილების დაგვარად. ამასთანავე საჭიროა ახალ შენობის მომავალ ბედ-იღბალზე ფიქრი, რომ იგი სამუდამოდ ემსახურებოდეს თავის მიზანს; ეს მით უმეტეს, რომ აქაური ინტელიგენტთა მომეტებული წილი აქ დროებით არის მცხოვრები, და შეიძლება მათ შემდგომ არა სასურველი დანიშნულება მისცენ ამ შენობას. ამისთვის კარგი იქმნება თუ ამ შენობას გადასცემენ წ. კ. ს.; უფრო უკეთესი იქმნებოდა, რომ აქ სიღნაღში ყოფილიყო მისი განყოფილება, მაგრამ რაკი არ არის, ჯერ ჯერობით მთავარ გამგეობას უნდა დაექვემდებაროს; ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ასე თუ ისე ქ. შ. წ. კ. ს.; შეუძლიან ცოტა რამ ხელმძღვანელობაც გაუწიოს. სრული დარწმუნებულნი უნდა ვიყვეთ, რომ საქმის სულის ჩამდგმელნი, განსაკუთრებით ბ. ნ. იაშვილი, რომელსაც დიდი შრომა მიუძღვის ამ შენობის აგებაზე, როგორც ფულის შეკრებით ისე საკუთარის გასჯით და ექ. დ. ჯავახიშვილი ეცდებიან მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ მათ მიერ ასე მოხერხებულად და მოფიქრებულად დაწყებული საქმე და ამის მომავალზედაც შესაფერად იფიქრებენ და სხვათა შორის ჩემ მიერ გამოთქმულ სურვილებსაც მიიღებენ მხედველობაში. ჯერჯერობით კი, ჩვენ ჩვენის მხრით, გუსურვებთ უოველ კეთილს. **მ—ი.**

**ს. წესი (რაჭა).** ამას წინედ ბ. ზ. მასიაშვილის თაოსნობით თავი მოიყარა ხიმშის, კვაცხუთის და წესის სოფლების საზოგადოებებმა, რომ ოთხკლასიან სასწავლებლის ასაშენებლად რაიმე სადგარი აღმოეჩინათ. დიდი სჯაბაასის შემდეგ ურილობამ გადასწყვიტა, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორ-კლასიანი სასწავლებელი დაეარსებინა, და თუ მომავალი ხელს შეუწყობდა, დანარჩენი ორი კლასიც შემდეგში მიემატებინა. სასწავლებლის შენობის აგება საზოგადოებამ მოიჯარადრე ბ. ბიჭაშვილს მიანდო და ამ საქმისთვის ფულის მოკრძალებასაც შეუდგა. საზოგადოება გახარებული და კმაყოფილი დაიშალა, მაგრამ ზოგიერთი, უმთავრესად მოხუცნი, ეჭვით და თითქმის მტრულად შეხვდნენ ამ ახალ დაწყებულებას, სწორედ ისე, როგორათაც მათ და კიდევ ბევრმა სხვამ წარსულში გაიდაშქრეს ს. წესში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსების წინააღმდეგ. მაგრამ იმედია უცილო ეს ძველ შეხედულებების უნებური გამომხატველნი მალე დარწმუნდებიან სწავლის და განათლების სარგებლობაში, სწორედ ისე, როგორც დარწმუნდნენ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების სიკარგეაუცილებლობაში.

**მ. რ. ლომთაძე.**



# ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას „სახალხო გაზეთის“ ფულის უწყებები შეცდომით უგზავნია „სახალხო საქმის“ რედაქციისათვის, რომელიც ამ ჟამად აღარ გამოდის, ამიტომ ბევრ ჩვენ ხელის მომწერთ გაზეთის გზავნა დაუგვიანდა, რადგანაც ამ მიზეზების გამო ფული და ხელის მომწერთა ადრესები გვიან მივიღეთ. თუ კიდევ არიან ისეთი ხელის-მომწერნი, რომელთაც ფული გამოგზავნეს, მაგრამ გაზეთი კი არ მისდით, ვთხოვთ შეგვატყობინონ ფულის გამოგზავნის დრო და, ფოსტის კანტორის კვიტანციის ნომერი, რომ ფოსტაში ფული მოვიკითხოთ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.



# რეინბოტის საქმე

(დეპეშათა სააგენტოსაგან).

მოწმეებმა **კანდიდატურთვმა, ფელდფებელთვმა** და **კომენდანტთვმა,** რომელთაც წინად პოლიციაში უმსახურიათ, რეინბოტის სასარგებლოდ ილაპარაკეს.

სასამართლომ მოწმეებს საქველმოქმედო მიზნით სამეჯანკლო სახლებზე ხარჯის გაწერის ამბავი გამოჰკითხა.

მოწმე **ბარაშკოვმა** წინა მოწმეთა ნათქვამი გაიმეორა: ჩვენ 10,000 მან. საქველმოქმედო საქმეს ჩვენის სურვილით შევწირეთო.

5 **ქალმა,** რომელთაც სამაჭანკლო სახლები ჰქონიათ, განაცხადეს: კოროტკის თითო ჩვენგანი 200-500 მან. ვაძლევდით, მაგრამ ბარათი ფულის მიღებისა მხოლოდ ერთმა მიიღო; ამის შემდეგ სახლები არავის შეუწუხებია, თუმცა ჩვენს თხოვნაზე, სახლებს ნუ დაგვიკეტავთო, უარი გვითხრეს.

სენატორია რევიზიის უფროსმა მოხელემ **ბორეინსკიმ** იმ მოწმეთა ჩვენებანი გაიმეორა რომელნიც არ გამოცხადდნენ.

**ბორეინსკიმ** განაცხადა, სამსახურიდან დათხოვნამდე ერთი თვის წინ, რეინბოტის საქმეები რევიზიამ ძალიან შეარყიაო.

ბოქაულად ნამყოფმა **პოლზიკოვმა** განაცხადა, რეინბოტი უსამართლოდ მექცეოდა და სამსახურიდან დამითხოვაო.

**რეინბოტმა** სთქვა, პოლზიკოვი სამსახურიდან იმიტომ დავითხოვე, რომ მის საპოლიციო ნაწილში უწესოება

---

მელმაც აალაპარაკა ჩვენი ქართულ-რუსული პრესა, განურჩევლად მიმართულებისა, და მთელი საზოგადოება დიდუბის ეკლესიის დღევანდელ მდგომარეობაზე...

ამის შემდეგ დიდ-ხანს აღარ უცოცხლია მამა ზედგინიძეს; დიდუბის ეკლესიის წინამძღვრად კი დაინიშნა მის შემდეგ ღვთის-მეტყველების კანდიდატი დეკ. კალისტრატე ცინცაძე, რომელიც 1904 წლიდან წინამძღვრობს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. როგორც სხვა „რუსეთუმე“ მღვდელმა ჩვენში, ვერც მამა ცინცაძემ დააღწია თავი განსაცდელს არეულ წირვა-ლოცვის შემოღებისას ეკლესიაში. მამა ცინცაძის დროს „გააშტატეს“ დიდუბის ეკლესია, ესე იგი, დაუნიშნეს კრებულს ხაზინისაგან ჯამაგირი ოცდა-ათი თუმანი წელიწადში თითო მღვდელს.

იმის მაგივრად, რომ ქართველ მორწმუნეთაგან, რომელნიც ბლომად გარს ეხვიენ დიდუბის ეკლესიას, მამა ცინცაძეს შეექმნა მტკიცე სამრევლო ორგანიზაცია და განეგრძო მამა ზედგინიძისაგან მკვიდრად და შეურყევლად გადმოცემული სამშობლო ენაზე ღვთისმსახურება,—მით უმეტეს, რომ რკინის გზის რუს მოსამსახურეთათვის მთავრობამ 1897 წელს უკვე შეჰქმნა „რკინის გზის პრიხოდი“, საკუთარის ეკლესიით და კრებულით, და კიდევ უფრო ადრე რუს მუშათა ალსაზრდელ-გასაწვრთნელად დაარსდა აწ ცნობილი „მისიონერის“ ეკლესია, იქვე ახლოს, მამა გოროდცოვის ხელმძღვანელობით,—მამა ცინცაძემ იმ თავიდანვე შემოიღო ქართულ-სლოვენური წირვა-ლოცვა. ჯერ სცადა რუს-ქართველთ საერთო სამრევლო შეექმნა, მაგრამ, როდესაც ეს ვერ მოახერხა და ქნათეს ამორჩევაზე ერთი ვაი-უშველებელი ასტყდა,—სულ ყველა დიდუბელ რუსს სურდა მნათედ გახდომა,—მაშინ მოახერხა ამ ეკლესიის „ბეზპრიხოდნაია ცერკოვად“ გამოცხადება, და მნათეს არჩევის მხრით ეს ეკლესია დღესაც, კანონის ძალით, ტფილისის საბჭოს ექვემდებარება.

მამა ცინცაძემ მოიწვია სლავიანურ მგალობელთა გუნდი, რომელიც დღესაც განაგრძობს დიდუბის ეკლესიაში გალობას. ერთხელვე დაჭერილ „პოზიციას“ აქაური „მამულიშვილები“ აღარ სტოვებენ და გულმოდგინეთ განაგრძობენ გუნებას.

მოგეხსენებათ, რომ გალობა ეკლესიაში შეადგენს მეტს თუ არა ორ მესამედს მაინც წირვა-ლოცვისას, თუ ამასთანავე მივიღებთ მხედველობაში, რომ თვით ეკლესიის კრებული ნახევრად მაინც „უსლავიანურებდა“, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად დაცული იყო ქართველთ ნალვაწ-ნაკვალევ ტაძარში ქართველ მორწმუნეთა უფლება-მოთხოვნილებანი!

მაგრამ ბოლოს თვით მამა ცინცაძესაც აღარ მოეწონა თავისგანვე დიდუბეში შემოღებული არეულ-დარეული წირვა-ლოცვა. ჩვენ პირადად, საკუთარის ყურით გვსმენია მ. კალისტრატესაგან, რომ „არეულ-დარეულმა წირვა-ლოცვამ სულ ნერვები ამიშალაო;—საკურთხეველში რომა ვდგევარ, სულ უკან-უკან ვიცქირები—აბა ვინ შემოდის და ვინ სდგას ეკლესიაში—ქართველი თუ რუსიო.“

ჩვენი მღვდლები, რომელთაც ცოტათი მაინც უსწავლიათ რუსულ სკოლაში, რწმუნებულ მათდამი ქართულ ეკლესიებში „ზრდილობიანად უმასპინძლდებიან“ რუს მორწმუნეთ მათთვის გასაგებ ენაზე წირვა-ლოცვით. ამასთანავე ის კი ავიწყდებათ ჩვენს მოძღვრებს, რომ ასეთი ზრდილობა, ხათრიანობა და სტუმართ-მოყვარეობა მათ შეუძლიანთ გასწიონ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ოჯახებში და არა ჩვენს მამა-პაპეულ ტაძარ-მონასტრებში. ვინც უნდა შემოვიდეს ჩვენს სამლოცველოში, ჩვენს მღვდლებს არავითარი ნება არა აქვს შესცვალონ ან აურ-დაურიონ ერთხელვე შემოღებული ქართული წირვა-ლოცვა.

ის მაინც რატომ არ დაინახეს ჩვენმა მღვდლებმა, რომ კრინტის დაძვრას ვერ ბედავდა ქართულად ქართველი მღვდელი (აწ განსვენებული) „რკინის გზის ეკლესიის სამრევლოში“?! განა ამ სამრევლოში ცოტა ქართველობა სცხოვრობს?! ის რატომ ვერ შენიშნეს, თუ როგორ თანდათან გამოიდევნა ქართული წირვა-ლოცვის ხსენება ალექსანდრე ნეველის ეკლესიიდან, რომელსაც დღესაც გარს არტყია დიდ-ძალი ქართველობა?! ან რატომ ვერ ხედავენ ჩვენი მღვდლები ანდრეევის ქუჩაზე არსებულ „მეორე სამისიონერო ეკლესიის“ კრებულის მოღვაწეობას?! ბევრი ქართველიც რომ დაესწროს აქ წირვა ლოცვას, განა შეიძლება მათთვის ვინმემ წირვა-ლოცვა არიოს?! ან მახლობლად მდებარე იოანე ნათლის-მცემლის ეკლესიაში, რომელიც „მესამე სამისიონეროდ“ არის ეხლა მონათლული?! როგორ სწარმოებს წირვა-ლოცვა თვით ნაძალადევში, ან წმინდა ნინოს სახელობის სასაფლაოს ეკლესიაში?! იქნებ ზემოაღნიშნული „ზრდილობა“, „ხათრიანობა“ და „სტუმართ-მოყვარეობა“ მარტო ჩვენთვის არის სავალდებულო?! რატომ ან მღვდელს, ან ბერს, ან „ბლალოჩინს“ ან ვინმე სხვას ერთხელ მაინც არ მოგივიდათ თავში, თუ სად ილოცონ ამოდენა რაიონის ქართველ მორწმუნეებმა?!

აწინდელი წირვა-ლოცვა და მღვდელ-მოქმედებანი დიდუბის ეკლესიაში ძლიერ მოუწესრიგებელ და შეუფერებელ მოვლენას წარმოადგენს. ამ ბოლო დრომდის ეკლესიის კრებულს სულ ქართველები შეადგენდნენ. ამიტომ თუმცა გალობა სულ სლავიანურად სრულდებოდა, მაგრამ წირვაში შიგადაშიგ ქართველი მთავარი ზოგიერთ მუხლობიანებს მაინც ქართულად ამბობდა. ეს ერთი წელიწადია დიდუბის კრებულში ჩანიშნეს რუსი მთავარი, რომელსაც არა გაეგება რა ქართულისა. ამიტომ წირვა-ლოცვა ჩვენს ტაძარში ეხლა, გარდა მღვდლების ასამაღლებისა, სულ სლავიანურად სწარმოებს. სახარებას რომ მთავარი სლავიანურად წაიკითხავს ხოლმე წირვაზე, იმავ სახარებას, მთავრის შემდეგ, ქართულად ჰკითხულობს მღვდელი თალაკვაძე! არის ამ ჩვენს ძველთაძველ ტაძარში ერთი ენათა არევა, უსიამოვნება და საყვედურები, რატომ სახარებას ქართულად ჰკითხულობენო, ლოცვა გრძელდებაო. არამც თუ წირვა-ლოცვას, ნათვლა-ქორწინება დასაფლავებასაც კი ხშირად ვერ გვისრულებს ეხლა დიდუბის კრებული ქართულად, ვინაიდან, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ერთ-ერთმა ამ კრებულის წევრმა ქართულისა არა იცის რა.

თუ პირველ ხანებში დიდუბის ეკლესიაში არეული წირვა-ლოცვა გამოწვეული იყო რუსთათვის ახლო-მახლო ეკლესიის უქონლობით და ჩვენის მხრით მათდამი თავაზიანობით, ეხლა ამ მხრით არავის არა ეთქმით რა, როდესაც გარშემო ხუთ ეკლესიაში სლავიანურად სრულდება წირვა-ლოცვა და რუსები უზრუნველყოფილნი არიან. ამიტომ დროა დიდუბის ეკლესიაში ამოდენა რაიონში მცხოვრებ ქართველ მორწმუნეთათვის აღდგენილ იქმნას წმინდად ქართული წირვა-ლოცვა და გალობა.

მაგრამ... ქირმა შეჩვევა იცის. აქამომდე თუ მასპინძლები გვეგონა ჩვენი თავი დიდუბის ეკლესიაში, დღეს ლამის არის ჩვენ თვითონ სტუმრებად გამოგვაცხადონ. მკითხველებმა უკვე იციან ადგილობრივ „პატრიოტებისაგან“ აღძრული საკითხის ვითარება დიდუბის ეკლესიის შესახებ. არ ვიცით, თუ რა ყურადღებით მოეპყრო იმათ განცხადებას ადგილობრივი სასულიერო მთავრობა, რომელმაც პოლიციის საშუალებით ანკეტა მოახდინა დიდუბის მცხოვრებლებში, ვის სურთ დიდუბის ეკლესიის მრევლში ჩაირიცხოთო; სურვილი გამოაცხადეს ყველა აქაურმა რუსის „კავშირის“ წევრებმა, ზოგსაც ჩაგონებით გამოაცხადებინეს იმ პირობით მხოლოდ, თუ მღვდლები რუსები გვეყოლებიან და ქართულად აღარ იქმნება ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვაო.

უფრო ადრე კი, ასეთ ანკეტის მოხდენის რამოდენიმე თვის წინედ, დიდუბეში მცხოვრებ რუსებში დადიოდა ერთი ინტელიგენტი რუსის მანდილოსანი, რომელიც ხელს აწერინებდა ხალხს სიაზე,—გსურთ თუ არა დიდუბის ეკლესია დედათა მონასტრად გადაკეთდესო. ამ მანდილოსანსაც ყველამ ხელი მოუწერა.

დიდუბის ეკლესიის ასეთმა ვითარებამ შეაშფოთა ადგილობრივი და ვაგზლის მხრით მცხოვრები ქართველობა, რომელთაც დასაბუთებულ-თავაზიანი თხოვნით მიუგზავნეს დეპუტაცია ეგზარხოსს ინოკენტის და მიაქციეს მათი მეუფების მწყემსთ-მთავრული ყურადღება თავიანთ სარწმუნოების მხრით ასეთ უნუგეშო მდგომარეობაზე. როგორც გაზეთებმაც გადმოგვცეს, ეგზარხოსმა აღუთქვა დეპუტაციას—ამ საქმეს სინოდალურ კანტორას გადავცემ განსახილველადო.

ჩვენ ვერ გაგვიგია, რა არის აქ ამდენი „განსახილველი“? ჩვენ უმორჩილესად ვითხოვთ, ქართველებს ქართულ ეკლესიაში აღგვიდგინეთ წირვა-ლოცვა, რომ დიდუბის ეკლესიის კრებულმა იზრუნოს ჩვენი სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა ჯეროვან დაკმაყოფილებისათვის. თუ არა და, ვინ არ იცის ეხლა, რომ სინოდალურ კანტორას თავის-თავად არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია! სინოდალურ კანტორის თავმჯდომარე და ყველა საეკლესიო საქმის არსებითად გადამწყვეტი ჩვენში თვით მათი მეუფება ეგზარხოსი ბძანდება; მაგრამ ჩვენი დეპუტაციის შუამდგომლობაზე არც სინოდალურ კანტორიდან ისმის აქამდის რამე, არც ეგზარხოსიდან.

დიდუბის ეკლესია და ეზო ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონია. აქ მოისწრაფის მთელი ქალაქის და მის მიდამო სოფლების მორწმუნეები ქართველობა თუ სომხობა; ამათთან ერთად ლოცულობს და კვლავ შეუძლია ილოცოს მორწმუნე რუსობას, გარეშე ყოველივე პოლიტიკანობისა, კაცთ-მოძულეობისა და ქართველობის აბუჩად აგდებისა, რომელსაც ასე ურცხვად და თან ბეჯითად ჩასჩიჩინებს მას (რუსობას) ადგილობრივ შავრაზმელთა ორგანო „გოლოს კავკაზა“ და იმისი ჩინოსან-ანაფორიოსანნი იდეოლოგები.

რაც მალე გადაწყდება, გამოირკვევა და დაცხრება ისეთი უკანონოება, როგორიც ტრიალებს ეხლა დიდუბის ეკლესიის გარშემო, რაც მალე მოწესრიგდება ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვის საქმე ქართულს ენაზე, ისა სჯობია;—მით უფრო ადვილად განმტკიცდება რუს-ქართველთა შორის გულ წრფელი, ადამიანური და ქრისტიანული დამოკიდებულება, თუ ასეთი დამოკიდებულების დამყარება სასულიერო მთავრობას გულ-წრფელად სურს.

**ქართველი დიდუბელი.**

იყო და ღამის დარაჯებსაც რიგიანად არ უსწორდებოდაო.

მოწმე **არნოლდმა**, რომელიც ტრაქტირთა საზოგადოების მდივანია, განაცხადა, რომ ტორბეევი მესამე ხარისხის ტრაქტირების პატრონთ ურჩევდა საპოლიციო საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ 25 ათასი მ.ნ. შეაგროვეთ და იმის უწყებას მიიღებთ, რომ თქვენი ტრაქტირების კაბინეთებს კარი შეაბათო. მეტრაქტირენი არ დათანხმებულან.

**კუჩესოვმა** სთქვა, ტორბეევს 2.500 მან. მივეცი და გათენებამდის ვაჭრობის ნება ავიღეო.

გამოირკვა, რომ სტვოლოვი, რეინბოტის წინამოადგილის მედემის დროს, როცა შეიარაღებული აჯანყება იყო, იარაღის ტარების ნებართვებს ურიგებდა.

**ნატრუხკინმა** რესტორან „Золотой якорь"-ის პატრონის ნათქვამი დაადასტურა და სთქვა: რეინბოტს მე თითონ შევაძლიე 2.000 მან. საქველმოქმედო საქმისათვის და როცა ეს ფული მიიღო, რესტორანის პატრონს ნება მიეცა რესტორანში დივერტისმენტები გაემართა.

მოწმე ქალმა **ველიჩკინმა** განაცხადა: ტორბეევი საქველმოქმედო საქმისათვის 1000 მან. მახოვდა. თუ ამ ფულს გადავიხდიდი, მაშინ პროჟექტორის გახსნის ნებაც მომეცემოდაო. ველიჩკინს ეს ფული არ შეუტანია და ვერც პროჟექტორის გახსნის უფლება აუღია.

„ერმიტაჟის" (თეატრია მოსკოვში) **დირექტორმა** განაცხადა: როცა ოქმებს გვიდგენდნენ, კოროტკი გვევაჭრებოდა ხოლმე, თუ რამდენს შევიტანდით საქველმოქმედო საქმისათვის.

**დამცველმა ჩხარემ** საპოლიციო დაწესებულებათა ანგარიშები წარადგინა. ამ ანგარიშებიდან სჩანს, რომ რეინბოტის წინამოადგილეთ, საქველმოქმედო თანხის გასაძლიერებლად, ფულს კლუბები აძლევდნენ.

სენატმა დააკმაყოფილა რეინბოტის თხოვნა, რომ გამოწვეულ იქმნენ გენერალ გერშელმანის **ქვრივი** და მისი ადიუტანტი, რომელთაც უნდა სთქვან, მასლიანიკოვის დაჯარიმებაში რეინბოტმა გერშელმანს მიაღებინა მონაწილეობა თუ არა.

**კოროტკიმ** სთქვა, ის ფული, რასაც სამაჰანკლო სახლების პატრონები მაძლევდნენ, ხაზინაში შემქონდაო.

გამოჰკითხეს **უხუცესობის ბოჭკების პატრონებსაც**, რომელთაც ქუჩებში უსუფთაობის დაქცევისათვის კოროტკი საქველ-მოქმედოდ 100—200 მან. აძლევინებდა. ყველა ამ ფულის უმეტესი ნაწილი კოროტკის საქველმოქმედო თანხის საანგარიშო წიგნებში აქვს შეტანილი.

სასამართლომ გამოაქვეყნა **დოკუმენტი**, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ტრიოხ გორნი" რესტორანში მასლიანიკოვის მიერ ჩხუბის მოხდენისათვის რესტორანს ღამ-ღამობით ვაჭრობა აეკრძალა, მაგრამ შემდეგ ნება მიეცა, რადგან რესტორანის პატრონმა საქველ-მოქმედო საქმისათვის ფული შეიტანა.

**კლუბების საქმეთა** მოწმეებმა სთქვეს, რომ იმ კლუბებს, რომელთაც ფული არ შეჰქონდათ, რეინბოტი ჰკეტავდა ხოლმეო. საარტისტო კლუბი, რომელსაც ფული ბლომად შეჰქონდა, წარმოდგენებსა და თამაშობათ ხელ-შეუშლელად ჰმართავდა.

# რუსეთი

### გუჩკოვის მინისტრობა.

როგორც გაზეთი „რუსი" იტყობინება, 2 მაისს სახელმწიფო სათათბიროში ხმა გავრცელებულა, რომ როდესაც გუჩკოვი მოგზაურობიდან დაბრუნდება, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრობას მიიღებსო. გუჩკოვი კიჯერ-ჯერობით იაპონიაში მიემგზავრება.

### მოხალოდნელი ომი.

ამას წინედ, პეტერბურგში სტოლიპინთან მინისტრებს კერძო კრება გაუმართავთ, უთათბირნიათ შორეულ აღმოსავლეთის საქმეებზე. ამბობენ, ეს თათბირი სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის შიფრიანმა დეპეშებმა გამოიწვიაო. ამ დეპეშებს, როგორც ეტყობა, ცუდი ამბები მოაქვთ. კრებამ სუხომლინოვს გრძელი და შიფრიანი დეპეშა გაუგზავნა.

სათათბიროს კულუარებში ხმა გავრცელდა, ვითომც, გუჩკოვს მეგობრებისათვის წერილები გამოეგზავნოს და მოეწეროს, რომ ჩინეთთან ომი უფრო ადრე მოხდება, ვიდრე ამას პეტერბურგელები ჰფიქრობენო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მაისი.

## საზღვარ-გარედ.

**ცეტინიე.** ოსმალეთის ელჩმა პროტესტი განაცხადა იმის თაობაზე, რომ ჩერნოგორიას ოსმალეთის საზღვრებზე ზარბაზნები დაუდგავს. მთავრობამ წინადადება მისცა ელჩს გაიგზავნოს შერეული კომისია, რომელიც გამოარკვევს, რომ ეს ხმაც სხვა ხმებსავით ავი ჭორია.

**ოპორტო.** ეკლესიების გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ჯარი სდარაჯობს. პრადაში ბრბო კათოლიკურ გაზეთის რედაქციას დაეცა. ის ხალიჩები, რომლებიც საეკლესიო დღესასწაულისა გამო ბაირაღებად იყო აჭრელებული, ძალიან დაზიანდა.

**კაზანბლანკა.** მასაგინში შეგროვილი ჯარი ზემურისა და რაბატასკენ გაემართა.

**მუკდენი.** ახალი გენერალ-გუბერნატორი ჯაოერ სიუნი მოვიდა. დიპლომატიურ კორპუსს ებრძანა, გუბერნატორს რუსეთ-ჩინეთის გადაუწყვეტავი საქმეები წარუდგინოს. ამ საქმეების გარჩევას გუბერნატორი მალე შეუდგება.

**ხოვარეცი.** ხელი მოაწერეს ხუთი დღით მშვიდობიანობის ხელშეკრულებას. მშვიდობიანობა მთელ მექსიკაში გამოცხადდება.

**გირინი.** სურსათი აღარ არის. ცეცხლით დაზარალებულნი ქალაქის მიდამოებში სოფლებს სძარცვავენ. აკრძალულია, რომ გაზეთებმა რუსეთ იაპონიის მანჯურიაში მოქმედების შესახებ საეჭვო ხმები დაჰბეჭდონ ხოლმე.

**პეკინი.** ჩაჯილიის ვიცე-კოროლად ნამყოფი დუანფანი კანტონ-ხანკოუსის რკინის გზის მმართველად დაინიშნა, საშემოდგომოდ ალლუმებია დანიშნული.

**ბერლინი.** ლანდტაგმა მიიღო მიცვალებულების დაწვის კანონ-პროექტი, მეორე რედაქციით. პროექტის წინაამდეგი იყო ცენტრი, პოლონელები და კონსერვატორების უმრავლესობა.

**ბრიუსელი.** პალატა. ლიბერალებმა და სოციალისტებმა მთავრობას ობსტრუქცია გაუმართეს, რადგანაც მთავრობამ სკოლათა შესახებ კლერიკალური კანონ-პროექტი წარადგინა. პალატაში აუწერელი უწესობაა.

**მექსიკა.** რესპუბლიკის პრეზიდენტი დიაცი მაისის ნახევარში გადადგება. მთავრობა მორიგებასა თხოულობს. საყოველთაო ამნისტიას გამოაცხადებენ.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** სასამართლოს რეფორმათა კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც გათხოვილ ქალთა უფლებანი დიდდება.

ხარჯთ-აღრიცხვის კომისიამ ხმის უმრავლესობით გადასწყვიტა, საზღვაო სამინისტროს ახალი გემების ასაშენებლად საჭირო თანხა მიეცეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსდება კომისია, რომელმაც სიფხიზლის მზრუნველობის წესი უნდა შეიმუშავოს. ეს მზრუნველობა ქალაქებსა და ერობებს დაეკისრება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში არსდება კომისია, რომელმაც ტამბოვისა და ტობოლსკის გუბერნიებში მცხოვრებ მუსულმანთა რუსეთიდან გადასახლების საკითხი უნდა გამოარკვიოს.

ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ საჭიროდ სცნო, სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში გიმნასტიკის სწავლება შემოიღონ.

**ხარბინი.** გუჩკოვი მოვიდა.

## ფ რ ე ნ ა

**პეტერბურგი.** ავიატორმა ლებედევმა ფარმანის ბიპლანით 10 წუთს მგზავრებით იფრინა.

**რეიმსი.** ავიატორი პერ მარი მგზავრიანად გაფრინდა, მაგრამ ქარმა ჩამოაგდო. საფრენზე ბენზინი აფეთქდა. მგზავრი,—ლეიტენანტი დიუპი დაიწვა. მარის მდგომარეობაც უიმედოა.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს. „სახალხო გაზეთი"-ს 245 № ში ალაგირიდან მოწერილს წერილში გაკვრით შილდის სკოლის მდგომარეობას ეხებოდა ბ-ნი გ. უ—ლი და გული დარდით ევსებოდა, რომ მისს სამშობლო შილდის მცხოვრებთ ჯერაც ვერ შეუგნიათ სკოლის მნიშვნელობა და გულ-ცივნი არიან სწავლისადმი. ბავშვების მსურველთა რიცხვი ყოველ-წლივ ორასამდე იყო და არის ახლაცო, ხოლო სკოლაში 20—30-ს ადგილის მეტი არ იყოვო. ეს ცნობანი სიმართლეს მოკლებულია. 26 წელზე მეტია, რაც სოფელმა სკოლა ააშენა. სამოცი ბავშვის ადგილი იყო, კიდეც სწავლობდა და ამ ჟამათაც ამდენივე (60) ბავშვი სწავლობს და არა 20—30-დე. გ. უ—ლი სწერს: შილდას დიდიხანია, რაც სკოლა აქვს აშენებული და ძალიან კარგიც. თუ დღეს ეს შენობა ვერ იტევს მასში შემსვლელ მსურველთა ბავშვების რიცხვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ ვარგოდეს. შენობა ქვიტკირისაა და შეიცავს ოთხს ოთახს, რომელთაგან ერთი დიდი საკლასო ოთახადაა დანიშნული (სიგრძე აქვს 12 არშინი, სიგანე 10), ორი მომცრო მასწავლებლის ბინად და ერთიც სამზარეულოდ. საკლასო ოთახსა და მასწავლებლის ოთახებს შუა მოზრდილი ტალანიცაა. მის აგება შილდას სამას თუმანზე მეტი დაუჯდა.

მეორე მასწავლებლის დანიშვნის შემდეგ შილდის საზოგადოებამ, სკოლისათვის მეორე შენობის აგებამდე, სასოფლო სასამართლოს ორი საუკეთესო ოთახი დაუთმო: ერთი საკლასო ოთახად, მეორე—მასწავლებლისათვის. სკოლის ახალ შენობის ასაგებად სამოსწავლო მთავრობამ უკვე მოგვცა ას-ოცდა ათი თუმანი (1300 მან.) თავის მხრით, რომელიც თელავის ხაზინაში ინახება; ამ საქმისათვის ამდენივე უნდა გამოიღოს შილდის საზოგადოებამაც. სოფელს ამორჩეული ჰყავს საამშენებლო კომისია; შენებას ამ ზაფხულს უნდა შეუდგნენ. შილდის სკოლაში ბავშვების მიღება სწარმოებდა და ახლაც კენჭით სწარმოებს და მათს მშობელთ ერთი თავ-პირის მტვრევა აქვთ, თუ ვისი შვილი გაუშვან კენჭში და ვისი არა; ეს-კი ხომ იმის მაჩვენებელი და დამამტკიცებელი საბუთია, რომ შილდელებს სწავლისადმი დიდი მისწრაფება ჰქონიათ!

შილდა თავის სკოლას დღემდე ხაზინის დაუხმარებლად ინახავდა და დღეს ხაზინიდან ერთის მასწავლებლის ჯამაგირი ეძლევა. თუ ის განზრახვა სისრულეში მოვიდა, რომ სასწავლებელს დაეთმოს მთელი ის შილდის საზოგადო შენობა, რომელშიაც მოთავსებულია სასოფლო სასამართლო, და რომლის სამაგიეროდ უნდა აშენდეს სხვაგან, სკოლის შენობისათვის გადადებული ფულით, სასოფლო სასამართლოსათვის სხვა შენობა, მაშინ მეორე შენობის აგება სკოლისათვის აღარ მოგვიხდება, რადგან მესამე საკლასო და მასწავლებლის საცხოვრებელი ოთახებითაც უზრუნველყოფილ ვიქნებით და, რასაკვირველია, მესამე მასწავლებელიც დაგვენიშნება, რაიც უკვე აღგვითქვა ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების ინსპექტორმა ბ-ნმა ნ. პოგარელოვმა.

შილდელები მზად არიან მესამე, მეოთხე მასწავლებელი მოიწვიონ კი არა, მეათეც მოიწვიონ თუ ხელი მიუწვდებათ. მაგრამ საქართველოს რომელ კუთხეშია გლეხ-კაცობა ნივთიერად წელში გამართული, რომ შილდელებიც განკერძოვებულიყვნენ ამ საერთო მოვლენას. რა საბუთით უნდა მიეწეროს შილდელებს სწავლისადმი „გულ-ცივობა" მაშინ, როცა ზემოდ მოხსენებული ფაქტები წინააღმდეგს გვიმტკიცებს და თუ არსებული სასწავლებლით ყველა მცხოვრებნი ვერ კმაყოფილდება, ამის მიზეზები ხალხის ნივთიერ ხელმოკლეობაში უნდა ვეძიოთ.

შილდის სკოლის მასწავლებელი

**ან. მკერვალიშვილი.**

# სპორტი

### ფრანგული ჭიდაობა.

5 მაისს ხუთი წყვილი ჭიდაობდა. ხუთივე ძლიერ მოსაწყენი იყო. პირველ რიგში რუსულ უშნო ჭიდაობაში შეხვდნენ ერთმანეთს შემიაკინი და ვახტუროვი. ოცი წუთი უშნოდ იჯაჯგურეს და შემდეგ დაშორდნენ ერთმანეთს.

მილლერმა შვეცარიულ ჭიდაობაში 6 წ. და 5 წ. შემდეგ წააქცია ბელოუსი. ვახტუროვისა და ბულის ჭიდაობა არ შესდგა, რადგანაც უკანასკნელს ხელი არ მორჩენია. შემდეგ მილლერმა და შემიაკინმა ჯოხით გადაიტან-გადმოიტანეს ერთი-მეორე. შემიაკინმა აჯობა. ქურხულმა სამჯერ დაანარცხა კავკასიურ ჭიდაობაში „წითელი ნილაბი", მაგრამ ორივე მხარეზე დაწვენა ვერ მოუხერხა. ბელოუსისა და „წ. თელი ნილაბის" ჭიდაობა არ დამთავრებულა.

# გამოსადეგი ცნობა

## ტფილისის ბირჟა

5 მაისი.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**ხარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4% ხაზ. რენტა | 94⅞ |
| 5% გირ. ფ. სათ.-აზ. სახ. ს.-მამ. ბანკ. | 99¾ |
| 4% „ „ „ „ | 90⅞ |
| 3½% „ „ „ „ | 86 |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | 87½ |
| 4½% „ „ „ „ | — |
| 5% „ ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ. | 84¼ |
| 5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. სახ. | 88⅛ |
| 4½% „ „ „ „ | — |
| 5% I მომგებ. ბილეთ. | 473 |
| 5% II „ | 383 |
| 5% III „ | 327¼ |

**სანოვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:**

| | |
|---|---|
| მატყლი მრეწნული | 14 |
| ბამბა ქუთათური | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | 56 |
| ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი) | 6 „ |
| ჭიათ. შავი-ქვა (გარეცხილი) | 7 „ |
| ყველი ქართული | 7—8 მ. 50 კ. |
| თხილი ზაქათალისა | 3 მ. 35 კ. |
| ღვინო კახური | 3 მ. 20 კ.-დან 4 მ. |
| შაქარი (თავისა) | 3 მ. 80 კ.-დან 4 მ. |
| შაქარი (ფხვიერი) | 4 მ. 60 კ. |
| ხორბალი | 1 მ. 10 კ.-დან 1 მ. 20 კ. |
| ქერი თეთრი | 20—30 |
| სიმინდი | 70 კ.-დან 80 კ. |

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

### ტფილისიდან გადის:

1) **ბათუმისკენ:** N 1. I—III კლ. ჩქარო მატ. სად. 10 ს. 10 წუთზე, გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8 ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო მატ.** დილის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 28 წ.

4) **შერეული მატარ.** N 107, მეოთხე კლასით, გადის სად. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამ. 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსკენ:** 1) სამგზავრო N 6. I—III კლ. გადის დილ 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) **საფოსტო მატ.** N 4, I—III კლ. დილ. 11 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 4 ს. 44 წ.

3) **ჩქარი მატ.** № 2, I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუადღ. 1 ს. 44 წ., ბალაჯარაში სად. 10 ს. 2 წ., ბაქოში სად. 10 ს. 35 წ.

**შერეული მატ.** N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისკენ:** 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის სად. 7 ს. 30 წ.

### ჯულფასა და ერევნისაკენ:

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1, I—III კლ. სად. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5, I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3, I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107, მე-4 კლასით სად. 8 ს. 7 წ.

**ბათუმიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშუადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, სად. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, სად. 8 ს. 30 წ.

### ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. სად., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. სად., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

### ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. სად., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით.

მორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით, სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

## ნ ი ს ხ ი

### ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

1. ქალაქში ერთ ადგილამდე . . . 40 კ.
2. ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან 70 „
3. ვაგზლიდან ქალაქში . . . . 70 „
4. ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. —
5. ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში 40 „
6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე . . . . . 50 „
7. მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან . . 80 „
8. ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში . . . . . . 50 „
9. ფუნიკულერის სადგურამდე . 50 „
10. იქიდან უკან დაბრუნება . . 40 „

# განცხადებანი


მუხრანის კერძო

## სამკურნალო

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

**Тифлисъ—Песковская ул., 9. в 48 Циціановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.**

ავადმყოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. აზვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილთხანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს. ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე **ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646.** 100—5 (0—1003—69)



◀ მშობიარეთათვის ▶

## თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაზებიდ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—96)



## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირების გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ლ. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. (1163—31)



## ევგენი რომანის ძე ზემელი და ამხ.

აცხადებს, რომ 1911 წ. 5 მაისიდან ხილის წყალს ადგილ იზრივ და სახლ-დუქნებში მიტანით დიდ ბოთლს 8 კაპ. გაჰყიდის, ნახევარ ბოთლს 4 კაპ. (3—582—2)



ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

## ჭრა-კერვას

● წ ი გ ნ ი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: **Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.**

(100—1140—35)



## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „სალამური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.



საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა


მადლობით კუნძული სტამბა „ხორაპანი". რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.